საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5505/01
02/06/2021

5505-01-2-202106021748

ი/მ გიორგი თუთბერიძეს
მის: ქ. ხობი, ი. გოგებაშვილის ქ. N 2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 25 მაისის N9022 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ლესიჭინეში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამელიორაციო სისტემისთვის წყალაღება დაგეგმილია მდ. ცივიდან, თუმცა წარმოდგენილი წყალაღების GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებით წყალაღების წერტილი მდინარის კალაპოტიდან დაცილებულია დაახლოებით 40 მეტრით, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს მდინარიდან წყლის ამოსაღებად განკუთვნილი 6 კუბ.მ/სთ ტუმბოს განთავსების GPS კოორდინატები;
- დაზუსტებას საჭიროებს წყლის სამარაგო რეზერვუარის ტიპი (პოლიეთილენის, გრუნტის და ა.შ.);
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მდ. ცივის სხვა წყალმომხმარებლების არსებობისა და კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044